


# საგარეო კოვჩევა



ქართლის  
სამართლება



ზაქარია კიკნაძე


# თბილისის ჰერალდიკა

პროექტი

Zachary Kiknadze

## HERALDRY OF TBILISI

PROPOSAL



ქართული ჰერალდიკის ასოციაცია  
ASSOCIATION OF GEORGIAN HERALDRY



წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება თბილისის საქალაქო ჰერალდიკას, მიზნად ისახავს ქალაქისა და მისი რაიონების გერბების რედაქტირება-შექმნას, მათ ერთიან სისტემაში მოყვანას. ასეთი სამუშაო ჩვენს ქვეყანაში პირველად ტარდება. ეს არის მეორე წიგნი, რომელიც „ქართული ჰერალდიკის ასოციაციის“ ეგიდით გამოდის. (პირველია „ქართული ჯილდოები“ თბილისი 2000).

საერთოდ, თუ არ ჩავთვლით კანტიკუნტ სტატიებს, ჩვენში ქართული ჰერალდიკის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ორი წიგნია გამოცემული. პირველია გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ 1980 წელს დასტამბული მ. ვადბოლსკის „საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა“ რომელშიც ვრცელი მასალაა განხილული, მაგრამ შედგენილია სრულიად უსისტემოდ, პირველწყაროებზე მითითების გარეშე და უამრავი ფაქტობრივი უზუსტობითაც სცოდავს. მეორეა ქართული ჰერალდიკის ასოციაციის წევრის თ. ასათიანის 2003 წელს გამოცემული „ქართული გერბმცოდნეობა“.

ეს არის და ეს.

სადღეისოდ ცოცხალი, გამოყენებითი ჰერალდიკა საქართველოში სავსებით იგნორირებულია. მისი უგულებელყოფის, მისადმი შიშისა და უნდობლობის კომუნისტური გადმონაშთი დღესაც აქტიურად უარყოფს გერბების ხმარების აუცილებლობას. თუკი ბოლო წლებში სახელმწიფო სიმბოლიკის ჰერალდიკურ ნორმებში მოყვანით მეტ-ნაკლები დაინტერესება შეინიშნება (მართალია, ჯერჯერობით უშედეგოდ), საქალაქო ჰერალდიკა საერთოდ მივიწყებულია.

ყოველ ჩვენგანს ბავშვობიდან გაცნობიერებული აქვს, რომ საქართველო საუკუნეების მანძილზე საქრისტიანოსა და ევროპული კულტურის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ფორპოსტს წარმოადგენდა. სწორედ ამ კულტურის განუყრელი და ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალში საცემი ნაწილია ჰერალდიკა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამართული ჰერალდიკის გარეშე საქართველო ძნელად თუ იქნება აღქმული დასავლური ორიენტაციის ქვეყანად, ანუ იმ ქვეყანად, რომელიც ევროპული ოჯახის წევრობაზე ფიქრობს.

ჩვენი სახელმწიფო სიმბოლიკა ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, რომ სახელმწიფო გერბის და დროშის სტატუსიც კი არ არის ნათლად განსაზღვრული. ქართულ პასპორტსა და პირადობის საბუთებზე, საკურთხეველის მსგავსი გაურკვეველი ორნამენტის თავზე, წარმართული ბორჯღალია გამოსახული (ავტორი ნ. მალაზონია). ამ ბორჯღალს არავითარი სახელმწიფო სტატუსი არ გააჩნია. ეს ზემოხსენებული კი საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევაა, ვინაიდან ეროვნულ პასპორტებზე აუცილებლად სახელმწიფო გერბი უნდა გამოისახებოდეს. უცხოელი ჰერალდიკოსები და სიმბოლოთ-მცოდნეები ბორჯღალს აღიქვამენ საქართველოს ლტოლვად

ძველსპარსული — მაზდეანურ-ზოროასტრული სამყაროსაკენ. ეს ყველაფერი კი, დაგვეთანხმებით, საკმაოდ აბსურდულ სიტუაციას აყალიბებს.

გაუმართავი და სტატუსის არმქონე სახელმწიფო ჰერალდიკისაგან განსხვავებით, ჩვენში დღეს საქალაქო ჰერალდიკა საერთოდ არ არსებობს.

სადღეისოდ ქალაქი ხმარობს გვიან საბჭოთა ეპოქაში შექმნილ ასომთავრული „თ“-სა და არაჰერალდიკურად სტილიზებული შევარდნის შერწყმულ გამოსახულებას (ავტორი ე. ბურჯანაძე). ეს სიმბოლო არც ერთ ჰერალდიკურ კანონსა თუ ნორმას არ ემორჩილება და, ბუნებრივია, რომ ჩვენ მას გერბად ვერ მოვიხსენიებთ. იგი წარმოადგენს „ლოგოს“ (კომერციული სავაჭრო ნიშანი), რაც მისაღებია კერძო კომპანიისათვის, ქალაქისათვის კი სამარცხვინოა. ხშირ შემთხვევაში ზემოხსენებული „ლოგოს“ მაგივრად კიდევ უფრო ნაკლებად გამართლებულ მთანმინდის ტელეანძასა და ვახტანგ გორგასლის ძეგლს გამოსახავენ.

კ. 16-285  
4

„ლოგოს“ თანადროული ქმნილებაა ფინეთის დროშის მსგავსი „ცისფერი ჯვარიც“ რომელიც რატომღაც მხოლოდ სახანძრო მანქანების კარებზე გამოიხატება. ასეთ დროშებს ზოგჯერ თავისუფლების მოედნის გარშემოც აღმართავენ ხოლმე. ამ დროშას საკმაოდ გაურკვეველი და ჩამოუყალიბებელი სტატუსი აქვს და არც ის არის დაზუსტებული, თუ რა შემთხვევებში უნდა იქნეს გამოყენებული. იზადება კითხვა: თუ ეს დროშა ქალაქის დროშაა, რატომ არასდროს არ ფრიალებს იგი მერიის თავზე? დროშის ფერს და აღწერილობას არავითარი განმარტება არ ახლავს. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ცისფერი, როგორც ასეთი, ქართულ სიმბოლიკაში ერთ-ერთი არატრადიციული და ნაკლებად გამოყენებადი ფერია.

გვინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ თბილისში მოქმედ ჰერალდიკა-ვექსილოლოგიის (დროშათმცოდნეობა) ნორმების რამდენიმე უხეშ დარღვევაზე, რომლებიც, საბჭოთა დროიდან მოყოლებული, ინერციით დღესაც გრძელდება:

- თბილისის მერიის თავზე ფრიალებს **სახელმწიფო** (ეროვნული) დროშა, რაც საერთაშორისო ჰერალდიკურ-ვექსილოლოგიური ნორმებიდან გამომდინარე, ყოვლად მიუღებელია. მერიის თავზე უნდა ფრიალებდეს **ქალაქის** დროშა, მის გვერდზე დასაშვებია, მაგრამ არაა აუცილებელი ეროვნული დროშის აღმართვა.
- მერიის ექსტერიერზე **სახელმწიფო** გერბია გამოსახული. მერიაზე გამოსახული უნდა იყოს **ქალაქის** გერბი.
- მერიის ბეჭედზე **სახელმწიფო** გერბია გამოსახული, და სამწუხაროდ, ეს ეხება საქართველოს თითქმის ყველა უწყებას, რაც საერ-

საქართველოს  
პარლამენტი  
მრთველი  
ბეჭდითობა

თაშორისო ნორმების უხეში დარღვევაა. ქალაქის ბეჭედზე მხოლოდ ქალაქის გერბის გამოსახვაა დასაშვები.

არადა ამ სავალალო მდგომარეობას (პოლიტიკურ-ეკონომიკურისაგან განსხვავებით) სახელმწიფოსა და ქალაქის მესვეურთა მხრიდან ცოტაოდენი დაინტერესება და კეთილი ნება სწრაფად გამოასწორებდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი ნაშრომის მიზანია:

- თბილისის ისტორიული გერბის აღდგენა ახალი რედაქციით.
- ქალაქის შტანდარტის და ბეჭედების შექმნა.
- ქალაქის გასაღებისა და თბილისის მერის ყელსაკიდი მედლის შემუშავება.
- თბილისის რაიონებისათვის მკაცრი ჰერალდიკური ნორმების გათვალისწინებით ახალი გერბების, შტანდარტების და ბეჭედების შექმნა, მათი ერთიან სისტემაში მოყვანა და განმარტება.

თბილისის ათი რაიონი დღეს წყვილ-წყვილადაა გაერთიანებული. ჰერალდიკური ნორმებიდან გამომდინარე, თითო ტერიტორიას თითო გერბი შეესაბამება. დასაშვებია, რომ მომავალში ისინი კვლავ ათ-ათად დაიყოს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უპრიანია ათივე რაიონის გერბის შექმნა. დღევანდელი გაერთიანებული რაიონების გერბებზე, თბილისის გერბთან ერთად, მისი შემადგენელი ორივე რაიონის გერბი გამოიხატება. მათი განცალკევების შემთხვევაში კი — თბილისისა და კონკრეტული რაიონისა.

რუსეთის იმპერიაში მიღებული ტრადიციით, ერთხელ გადაკვეთილი გერბის ზედა მთავარ ნაწილში უნდა მოთავსდეს ძირითადი ტერიტორიის გერბი — ჩვენს შემთხვევაში — თბილისისა. ქვედა ნაწილი ორად უნდა გადაიკვეთოს და მასზე გერბის ზემო ნაწილში გამოსახული, მთავარ ადმინისტრაციულ ერთეულზე დამოკიდებული მცირე ერთეულების გერბები უნდა განლაგდეს.


ასეთ შემთხვევაში გერბი ცოტა მოუხეშავ შთაბეჭდილებას დატოვებს.

ზემოხსენებულის გამოსახატად ჰერალდიკაში არსებობს მეორე, ესთეტიკურად ბევრად უფრო მისაღები კომპოზიციური წყობაც: ერთხელ გაკვეთილი და გადაკვეთილი (ანუ ჯვრით ოთხ ნაწილად დაყოფილი) ფარის პირველ და მეოთხე ველებზე თბილისის გერბით, მეორე და მესამე ველებზე კი შესაბამისი რაიონების გერბებით. ჩვენი პროექტისათვის სწორედ ასეთი წყობა ავირჩიეთ.

ახლა რამდენიმე პარაგრაფს თბილისის ისტორიული ჰერალდიკის განხილვას დავუთმობთ.

საქალაქო ჰერალდიკა საქართველოში, საგვარეულოსთან შედარებით, ბევრად გვიან შემოვიდა. თბილისის პირველი გერბი, ნახ.2 „საქართველო-იმერეთის“ პროვინციის გერბთან ერთად ნახ.1 1843 წლის 21 მაისს, იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა დაამტკიცა. ეს გერბი საკმაოდ მძარე ხარისხისა იყო, როგორც ჰერალდიკურად, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით. 1878 წლის 5 ივლისს ძველი შეცვალა ახალმა, ჰერალდიკურად დახვეწილმა გერბმა, რომლის ესთეტიკური ღირსება მაშინაც, და დღესაც კი დიდ მონონებას იმსახურებს ქართველ და უცხოელი ჰერალდიკოსთა წრეებში. ეს გერბი ჰეროლდმეისტერმა ბარონმა კიონემ შეიმუშავა. საიმპერატორო გვირგვინით დაგვირგვინებული ეს გერბი თბილისის გუბერნიისათვის გამოიყენებოდა, ხოლო ქართული სამეფო გვირგვინით დაგვირგვინებული კი — ქალაქ თბილისისათვის. გერბი 1917 წლამდე მოქმედებდა.

თბილისის გერბი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მხატვრის მიერ იხატებოდა. გვინდა შევჩერდეთ ყველა დროის საუკეთესო ჰერალდიკურ მხატვრად აღიარებული, ავსტრიისა და შემდეგ ავსტრო-უნგრეთის საიმპერატორო კარის ჰერალდიკური მხატვრის ჰ. შტროლის ნამუშევარზე. თბილისის გერბის ეს ვარიანტი მოყვანილია ცნობილი ბრიტანელი ჰერალდიკოსის ა. ფოქს-დევისის კლასიკურად აღიარებულ ნაშრომში „ჰერალდიკის ხელოვნება“ (Art of Heraldry), რომელიც პირველად 1904 წელს ლონდონში დაისტამბა და მას შემდეგ მრავალჯერ გამოიცა. ამ წიგნში საერთაშორისო საქალაქო და სახელმწიფო ჰერალდიკის საუკეთესო ნიმუშებს შტროლის მიერ დახატული ერთი ფერადი გვერდი ეთმობა. მასზე განთავსებულ თვრამეტ გერბს შორის ზემოხსენებული თბილისის გერბიცაა. ნახ.3.



1



2



3

მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება რამდენიმე ჰერალდიკური კანონისა და ტერმინის გაცნობა.

ჰერალდიკაში მიღებულია ძველი, დღევანდელ ყოველდღიურ სასაუბრო ენაში ნაკლებადგამოყენებადი ტერმინოლოგიის ხმარება. ასე მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში გამოიყენება ძველი ფრანგული. თუკი ახალ ფრანგულად წითელი არის **rouge**, ჰერალდიკაში იხმარება მისი ძველი ფრანგული, არაბულ-სპარსულიდან ნაწარმოები ფორმა **gules**. (საინტერესოა, რომ ქართული სიტყვა “გულიც” ამავე წარმომავლობისაა) ძველი, ლამაზი და პოეტური ლექსიკა გერბს დახვეწილად და ამალღებულად წარმოადგენს. ამ ტრადიციიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია გერბების ძველი ქართული ტერმინოლოგიით აღწერის დანერგვა.

გერბის ძირითადი ნაწილი ფარია. საქართველოში, ისევე როგორც სხვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელებული იყო **„ფრანგული ფარი“** ანუ **„ევროპული ფარი“**. სხვა ფორმის ფარებთან შედარებით მას ჰერალდიკაში ყველაზე მაღალი სტატუსი აქვს. აქვე დავძენთ იმასაც, რომ საქართველოს საპატრიარქოს სტატუსიდან გამომდინარე, მის საგერბო ფარად აუცილებელია **„ფრანგული ფარის“** გამოყენება. ამჟამად გამოყენებული ჩვენში არატრადიციული ჰერალდიკური **„ინგლისური ფარი“** კი საპატრიარქოს გერბის რანგს ერთი საფეხურით ადაბლებს.

ფარის შიდა ჩარჩოებით მოსაზღვრულ სივრცეს ეწოდება **„ველი“**.

ფარის ვერტიკალური ხაზით ორ ნაწილად გაყოფას **გაკვეთას** ვუწოდებთ, ჰორიზონტალურით კი **გადაკვეთას**.

ჰერალდიკურად ფერებს **ტინქტურა**, ანუ ელფერი ეწოდება. ტინქტურები **ლითონებად** და **მინანქრებად** იყოფა, ვინაიდან ძველად რეალური ფარების მოსახატად სწორედ ამ მასალებს ხმარობდნენ. ფერების გრაფიკულად გამოსახვა უმეტეს შემთხვევაში იეზუიტი ბერის, სილვესტრე პეტრა სანქტას (**Petra Sancta**) მიერ, მეჩვიდმეტე საუკუნეში შემუშავებული სისტემით ხდება. დაუშვებელია გერბზე ერთი ფერის ორი გრადაციის გამოყენება. მაგ., თუ გერბზე გამოსახულია ზღვა და ცა, ისინი არა ლურჯითა და ცისფრით, არამედ ლურჯითა და ვერცხლისფრით, ან ერთი და იმავე ფერის ლურჯით გამოიხატება და ლითონის ზოლით გაიყოფა.

ლითონი ორია:

**ოქრო** (მეფეთა გერბებში - **მზისფერი**) - გამოხატავს ქრისტიანულ ზნეობრიობას, ნდობას, სამართლიანობას, ზომიერებას, სიქველეს, კეთილშობილებას, დიდსულოვნებას, სიმდიდრეს, სიღარიბისლეს. გამოისახება ან ოქროსფრით, ან უბრალოდ ყვითლით.



(ყვითელი — საშუალო ან მუქი კადმიუმით). გრაფიკულად - ნერტი-  
ლებით მოფენილი ველით.

**ვერცხლი (მთვარისფერი** — მეფეთა და მთავართა, და **მარგალი-  
ტისფერი** — თავადთა და ტახტის აზნაურთა გერბებში). ვერცხლი  
გამოხატავს სულიერ ამაღლებას, სისუფთავეს, მორჩილებას, უმან-  
კობას, ქვეშარიტებას. გამოისახება ვერცხლისფრით ან უბრალოდ  
თეთრით, გრაფიკულად — ცარიელი ველით.

პერალდიკაში იხმარება ხუთი მინანქარი: **მენამული** (ნითელი) —  
გამოხატავს სამართლიანობას, სიქველეს, ღვთისა და მისი მიმდევრის  
ურთიერთსიყვარულს, აღშენებას, გულადობას, სიმამაცეს, მძვინ-  
ვარებას, კეთილშობილებას. სისხლისფერი — გამოისახება ნითელი,  
ღია ან მუქი კადმიუმით. გრაფიკულად — ვერტიკალური შტრიხების  
რიგით.

**ლაჟვარდოვანი** (მოლურჯო—მოცისფრო) — გამოხატავს სა-  
მართლიანობას, ერთგულებას, საუკუნო ნეტარებას, ღვთის სამსჯავ-  
როს, სილამაზეს, აღდგენა-აღორძინებას. უმეტეს შემთხვევაში გამ-  
ოისახება ლურჯი კობალტით, ან ლურჯი ცერულეუმით. გრაფიკულ-  
ად - ჰორიზონტალური შტრიხების რიგით. **სევადი** (შავი) - გამოხა-  
ტავს სიბრძნეს, თავმდაბლობას, ზრუნვას, პატიოსნებას, ღვთიურ  
ნებას. დასაშვებია სხვადასხვა ტონალობის შავის გამოყენება.  
გრაფიკულად ერთმანეთის გადამკვეთი ვერტიკალური და ჰორიზონ-  
ტალური შტრიხების რიგით გამოიხატება. **ზურმუხტოვანი** (მწვანე)  
— გამოხატავს სიქველეს, სიყვარულს, ღირსებას, თავაზიანობას,  
სიხარულს. უმეტესად გამოისახება მწვანე კობალტით, ან ზურმუხ-  
ტის მწვანით. გრაფიკულად მარცხნიდან მარჯვნივ დაშვებული დი-  
აგონალური შტრიხების რიგით გამოიხატება.

**პორფირი, ანუ ძონეული** - გამოხატავს ნდობას, უბინოებას,  
ღვთისნიერებას, ზომიერებას, კეთილშობილებას, სიღიადეს, მიმ-  
ზიდველობას, სიუხვეს, სიმშვიდეს, სიმდიდრეს. შინდისფერი ან იის-  
ფერი სამეფო, საიმპერატორო ფერია (ბაგრატიონთა მუხრანის შტო  
დღესაც საგვარეულო გერბზე მაცხოვრის კვართს პორფირის ფარი-  
კაზე გამოისახავს), მზადდებოდა სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთ-  
ში მოპოვებული მოლუსკების ნიჟარებისაგან. მათგან *Murex Truncu-  
lus* სახეობა იძლეოდა მოიისფრო პიგმენტს, ხოლო *Murex Brandaris*,  
შერეული *Purpura*-სთან კი მონითალო-მოშინდისფროს. საქართვე-  
ლოში გამოიყენებოდა ამ ფერის ორივე გრადაცია. გრაფიკულად მარ-  
ჯვნიდან მარცხნივ დაშვებული დიაგონალური შტრიხებით გამოიხ-  
ატება. პორფირს მისტიკურ თვისებებსაც მიაწერდნენ, ვინაიდან მისი  
მიღება ყველა დანარჩენი მინანქრის ფერის შერევითაც ხდებოდა.  
(გვინდა აღვნიშნოთ ერთ უზუსტობა, რომელსაც ჩვენში ხშირად უშ-  
ვებენ: მენამულში უმეტეს შემთხვევაში შინდისფერს გულისხმობენ.

ეს არ არის სწორი. მენამული ხასხასა - არტერიული სისხლისფერე ნითლის გრადაციას წარმოადგენს, ხოლო შინდისფერი კი მოლუსკ **Murex Brandaris**-ის ნიჟარისაგან დამზადებული პორფირისა). **ნატურალური ფერი** -ჰერალდიკაში ასე ეწოდება ყველა იმ ფერს, რომელიც ტრადიციულად ჰერალდიკური არ არის და, აქედან გამომდინარე, მათი საგანგებო ბლაზონირება (აღწერა) არ ხდება. მაგ., ფრაზაში - „ნატურალური ფერის სახის მქონე ანგელოზი“ იგულისხმება, რომ ანგელოზის სახე ადამიანის ბუნებრივი კანის ფერია. ფრაზა - „ნატურალური ფერის დათვი“ გულისხმობს, რომ დათვი ყავისფერია და ა.შ.

ჰერალდიკაში აგრეთვე მიღებულია ორი ბენვეული: **ქრცვინი** (ყარყუმი, დედალოსი, **Mus Armenicus**) - გამოიხატება ცხოველის სევადა, სტილიზებული კუდებით თეთრზე და არა ვერცხლზე. ღირსების სიმბოლოა. მეფეთა, მთავართა და თავადთა საგერბო კარვებისა და მანტიების სარჩული - ქრცვინის ნატურალურად გამოსახული თეთრი ბენვი სევადა კუდების რიგით ირთვება. **ციყვი** - სინამდვილეში სიასამურისებრი მცირე ცხოველი, რომელიც ლათინურად **Varus**-ად იწოდებოდა. მოგვიანებით რუხ ციყვთან გააიგივეს. გამოსახება - ლურჯი, ზარის ფორმისებრი სტილიზებული ბენვით თეთრზე. ბენვეულს ჩვენს პროექტში არ გამოვიყენებთ.

არ დაიშვება ლითონის ლითონზე და მინანქრის მინანქარზე გამოსახვა. ლითონის ფერ ველზე აუცილებლად მინანქრის ფერი ფიგურა უნდა გამოისახებოდეს, და პირიქით. მაგ., დაუშვებელია ლაჟვარდოვანი ლომის გამოსახვა მენამულზე. ამ შემთხვევაში ლომი ვერცხლისა, ანდა ოქროსი უნდა იყოს. არ შეიძლება ერთ გერბზე გამოსახული სიმბოლოების ერთი და იმავე ფერის სხვადასხვა ტონალობით გამოსახვა. დაუშვებელია გერბზე ერთი ფერის ორი გრადაციის გამოყენება. მაგ., თუ გერბზე გვაქვს ზღვა და ცა, ისინი არა ლურჯითა და ცისფრით, არამედ მხოლოდ ერთი ტონის ლურჯით გამოიხატება. თუ ისინი კომპოზიციურად ერთმანეთს ესაზღვრება, მაშინ მათ შორის აუცილებლად ლითონის ტინტურა უნდა მოთავსდეს.

ჰერალდიკური ფიგურები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა. ესენია ე.წ. „**ჰერალდიკური ფიგურები**“ - გეომეტრიული მოხაზულობის ფიგურები, ჯვრები, ნივნივები, სარტყლები, ყანწივები და ა.შ. ჯვარი უმთავრეს ჰერალდიკურ ფიგურას წარმოადგენს და ამიტომაც მისი უამრავი ნაირსახეობა არსებობს. ჯვარი სამ ძირითად ტიპად იყოფა, ესენია: სწორი ჯვრები, ირიბი ანუ წმ. ანდრიას ჯვრები და ჩანგლისებრი ჯვრები (ლათინური Y-ს ფორმის).

**„არაჰერალდიკური ფიგურები“** - ენოდება ყველა სხვა დანარჩენ ფიგურას. ეს ფიგურებიც თავისთავად სამ ქვეჯგუფად იყოფა. ესენია:

**ბუნებრივი ფიგურები** (რეალურად, ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებული): მაგ., ლომი, ირემი, ხე და სხვა. **ლეგენდარული ფიგურები** (რომელთა არსებობაც მეცნიერულად არ არის დადასტურებული): მაგ., გველეშაპი, ფასკუნჯი, ცხენი რქოსანი, გრაალის თასი და სხვა.

**ხელოვნური ფიგურები** - მაგ., ციხე, გასაღები, ხმალი და სხვა.

ყველა ფიგურა აუცილებლად პირით მარცხნივ შეტრიალებული გამოისახება. საქალაქო ჰერალდიკაში გავრცელებულია შემდეგი ფიგურების ხმარება:

**ნივნივი ანუ შევრონი** (შენობის სახურავის დამჭერი ორძელი) — დაცვის სიმბოლო. **ლომი** — სიმამაცე, სიდიადე, სიძლიერე. ამავე დროს ლომი სიფხიზლესაც გამოხატავს, რადგანაც, მითოლოგიური წარმოდგენით, მას არასდროს არ სძინავს. იგი აგრეთვე მარკოზ მახარებელსა და თავად მაცხოვარსაც გამოხატავს, როგორც „იუდას ტომის ლომს“. ხახადალებული და ენაგადმოყოფილი ლომი ღვთის სიტყვას — „ლოგოსს“ ნიშნავს. **ლეოპარდი** — ლომისაგან არავითარი ზოოლოგიური განსხვავება არ ახასიათებს. ჰერალდიკურად ასე ენოდება ლომს, რომელიც ოთხ ფეხზე დგას და თავი ანფასში აქვს შემოტრიალებული. **ლეოპარდისებრი ლომი** — ასე ენოდება უკანა ორ ფეხზე მდგომ ლომს, რომელსაც თავი მაყურებლისკენ აქვს შემოტრიალებული. **ლომისებრი ლეოპარდი** — ასე ენოდება ოთხ ფეხზე მდგომ ლომს რომლის თავიც პროფილშია გამოსახული. **შევარდენი** - უმაღლესი დანიშნულებისათვის მზადყოფნა, დაუღალავი მცდელობა დასახული მიზნის მისაღწევად. **ციხე** — სიძლიერე, სიდიადე, შემოსევის დროს თავშესაფარი. **გოდოლი** — მუდმივობა, სიდიადე და სამშობლოსათვის თავდადების სიმბოლო. **გასაღები** — მეურვეობა, მპყრობელობა, ქალაქისთვის მინიჭებული უფლებების სიმბოლო. **ხმალი** — ძალა, თავდაცვა, ძალაუფლება, სიმყარის სიმბოლო. **მოზიდული მშვილდ-ისარი** — მუდმივი მზადყოფნა მტრის მოსაგერიებლად. დაუნდობელი ბრძოლის დროს უშიშრობა და გადარჩენის სურვილი. **გვირგვინი** — ძალაუფლების, სიდიადის, გამარჯვების, სუვერენიტეტისა და ძლევის სიმბოლო. მიწიერებასა და ზეციერებას შორის სიმბოლური კავშირი.

**საქალაქო გვირგვინი** - მოქალაქეობრივი ღირსება, ქალაქის ან ციხესიმაგრის დაცვის სიმბოლო.

თბილისის ჰერალდიკისათვის გამოვიყენებთ **ქართულ სამეფო გვირგვინსაც (ივერიის გვირგვინი)**, 1798 წ. დამზადდა გიორგი XII-ისთვის. ერთი ინფორმაციით იგი წარმოადგენდა 145 ბრილიანტით, 58 ლალით, 24

ზურმუხტით და 16 ამეთვისტოთი მორთულ, ხოლო მეორე ვერსიით 64 ბრილიანტით, 46 ლალით, 26 ზურმუხტითა და 16 კობაშონით მორთულ რვაკამარიან „corona clausa“-ს (დახურული გვირგვინი). კამარების გადაკვეთაზე განთავსებულ სფეროზე აღმართული იყო ჯვარი. ეს გვირგვინი იმპერატორმა პავლე I-მა გამოუგზავნა ქართლ-კახეთის მეფეს, 1795 წელს ალა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად გატაცებული და დაკარგული გვირგვინის სანაცვლოდ. ახალი გვირგვინი ძირითადად იმეორებდა ძველის დიზაინს, რაც ადრეული გვირგვინის შემონახული გამოსახულებებიდან შეიძლება დავასკვნათ (ქართლ-კახეთის დიდი სამეფო ბეჭედი, ერეკლე II-ის ჭედური კაბინეტის გერბი და სხვა).

**ქართული სამეფო გვირგვინით** იყო დაგვირგვინებული ის „საქართველოს სამეფოს გერბიც“, რომელიც რუსეთის იმპერიის საგერბო არნივის ფრთაზე თავსდებოდა.

ცნობილი რუსი ჰერალდიკოსი-მკვლევარის ფონ ვინკლერის მიხედვით ქალაქ თბილისის გერბზე სწორედ ეს გვირგვინი გამოისახებოდა.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, გვირგვინი რუსეთში გადაიტანეს და იქ იგი მოსკოვის კრემლში ინახებოდა. 1923 წელს გვირგვინი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. 1930 წელს გვირგვინი კვლავ მოსკოვში გაგზავნეს, სადაც გადაუმონმბელი ინფორმაციის მიხედვით ან ნაწილებად დაშალეს ან უცხოეთში გაყიდეს.

ძველი დროიდან, ევროპაში სადევიზო წარწერებისათვის უმეტეს შემთხვევაში ლათინურ ენას, ინგლის-საფრანგეთში ზოგჯერ ძველ ფრანგულს, გერმანიაში კი ზოგჯერ ძველ გერმანულს ხმარობდნენ. მოგვიანებით წარწერების ეროვნულ ენებზე შექმნა დაიწყეს, მაგრამ დღესაც ლათინური პრივილეგირებულ მდგომარეობას ინარჩუნებს. ასე იყო რუსეთის იმპერიაშიც, სადაც უმეტეს შემთხვევაში ლათინურს ხმარობდნენ და იშვიათად კი რუსულს. საქართველოში საგერბო დევიზი-წარწერები ასომთავრულად იწერებოდა. ასეა გიორგი XI-ის, ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის გერბებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს ასომთავრული საერთოდ არ იხმარება სახელმწიფო სტრუქტურებში, არადა ტრადიციულად, მხედრულით შესრულებული, მაღალი რანგის დოკუმენტების თავკიდურ ასოებს, პარაგრაფებს და ხაზგასასმელ პუნქტებს სწორედ ასომთავრულით წერდნენ. აუცილებლად მიგვაჩნია ამ ტრადიციის აღდგენა და დევიზების ასომთავრულით შესრულება, რისთვისაც შევიმუშავეთ გვიანი შუასაუკუნეების, არალაპიდარული ასომთავრულით ინსპირირებული ახალი შრიფტი. ეს შრიფტი, დღეს არსებული კომპიუტერისა და სტამბები-

სათვის შექმნილი, ადრე შუა საუკუნეების ლაპიდარულზე განწყობილი (ქვაზე ამოსატიფრი) შრიფტისაგან განსხვავებით, რომლის ყველა მონახაზი ერთი სისქისაა, უფრო ზუსტად გამოხატავს ანბანის ფორცელზე, და საერთოდ, სიბრტყობრივი გამოსახვის დანიშნულებას. ჩვენ მიერ შექმნილი შრიფტი, მოხაზულობის სხვადასხვა სისქით შეესაბამება ლათინურსაც და ორენოვანი წარწერებისათვის ბევრად უფრო გამოსადეგია. ასომთავრულთან ერთად, ლათინურსაც უნდა დაუბრუნდეს ძველი პატივი, თუმცა მცირე გამონაკლისების გარდა, ალბათ მხოლოდ საგვარეულო ჰერალდიკაში. ქართველი არისტოკრატის საგერბო დევიზების დიდი ნაწილი სწორედ ლათინური სხარტი გამოთქმებით იწერებოდა.

## თბილისის გერბის აკეზულვა

ტრადიციიდან გამომდინარე, აუცილებლად ჩავთვალეთ საგერბო ფარად „ფრანგული ფარის“ გამოყენება. განსაკუთრებულ და საზეიმო შემთხვევებში გერბი ტრადიციისამებრ „ქართული სამეფო გვირგვინით“ დაგვირგვინდება. მეცხრამეტე საუკუნეში, მოსახლეობის რიცხვის მიხედვით, ჩვეულებრივ შემთხვევებში თბილისის გერბი ოთხქიმიანი (ნახატზე მხოლოდ სამი ქიმი მოჩანს) ოქროს გვირგვინით გვირგვინდებოდა. დღევანდელი დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით თბილისს უკვე რვაქიმიანი (ნახატზე ხუთი ქიმი მოჩანს) ოქროს გვირგვინი შეესაბამება. ოთხქიმიანი (ნახატზე სამქიმიანი) გვირგვინები კი თბილისის რაიონების გერბებისთვის გავითვალისწინეთ. ეს გადანყვეტილება ემყარება საქართველოს ჰერალდიკის ასოციაციის მიერ 1999 წელს მიღებულ შეთანხმებას საქალაქო გვირგვინების შესახებ.

თბილისის გერბს ისტორიული დევიზი არა აქვს, ხოლო ჰერალდიკის ტრადიციიდან გამომდინარე, პირველი ხარისხის ტერიტორიულ გერბზე ამ ტერიტორიის დასახელების დაწერა საკმაოდ ცუდ ჰერალდიკურ ტონად ითვლება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ უდევიზო გერბის არსებობა. გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ევროპის ბევრი სახელოვანი ქალაქიც არ ხმარობს დევიზს, და ამ შემთხვევაში ჩვენ გამონაკლისი არ ვიქნებით. სადევიზო ბაფთის მაგივრად ასეთ შემთხვევებში მიღებული მცენარეული ორნამენტი გამოვიყენეთ.

დღევანდელი პოლიტიკური სინამდვილიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ისტორიულ გერბზე გამოსახული, რუსული ჰერალდიკისათვის დამახასიათებელი „ყვავილოვანი ჯვარი“ ქართველთათვის უფრო ტრადიციული თორმეტბოლოიანი, „ჯვარ-ჯვ-

რედინი“ ჯვრით შეგვეცვალა. თავს ნებას მივცემთ და ამის შემდგომ მას „თბილისურ ჯვრად“ მოვიხსენიებთ.

მიზანშეწონილია აგრეთვე ქრისტიანობის მაჰმადიანობაზე გამარჯვების კომპოზიციის შეცვლა. აქედან გამომდინარე, ჯვარდაბ-ჯენილი ამოტრიალებული ნახევარმთვარე გერბიდან საერთოდ ამოვიღეთ. გერბს მოვამორეთ აგრეთვე უფუნქციოდ დარჩენილი ორი „მარჯვენა“ (ხელი). გამოსახვის სიმარტივისათვის ლომების შავი თვალები და ენა მენამულით შევცვალეთ. გერბს დაუშვამეთ მანამდე არარსებული ფარის მტვირთველები - საგერბო ფარიდან გამოსული ლომი, რომელიც „ლეოპარდისებრ ლომად“ გვევლინება და „თბილისის შევარდენი“, თბილისის დაარსების ლეგენდის გათვალისწინებით.

ქართულ ჰერალდიკაში მიღებული ტრადიციით სადევიზო ბაფთებზე და ბეჭდებზე წარწერები ასომთავრულით სრულდება.



## თბილისის გერბი

ოქროს ევროპული (ფრანგული) ფარი სევადა, სწორი ჯვრით ოთხ ნაწილადაა გაკვეთილ-გადაკვეთილი. ჯვარი დატვირთულია მომცრო, ჯვარ-ჯვარედინი, თორმეტბოლოიანი ოქროს „თბილისური ჯვრით“. ფარის ოთხივე ველზე მენამული, ხახადალებული და ენა-გადმოყოფილი ლომის „მოგლეჯილი“ თავებია. ფარი ქართული სამეფო (გიორგი XII-ის) გვირგვინითაა დაგვირგვინებული.

ჰერალდიკურად მარჯვენა „ფარის მტვირთველი“ მენამული, ოქროს რვაქიმიანი (ნახატზე უკანა სამი ქიმი არ ჩანს, ამრიგად გვირგვინი ხუთქიმიანად აღიქმება და უმეტეს შემთხვევაში ასეც ვუნოდებთ) საქალაქო გვირგვინით დაგვირგვინებული, ხახადალებული და ენაგადმოყოფილი ლომია. (ლომისებრი ლეოპარდი).

მარცხენა „ფარის მტვირთველი“ კი თეთრი და ნატურალური ფერის ოქროსნისკარტიანი, ნახევრად ფრთაგამოშლილი, ოქროს რვაქიმიანი (ხუთქიმიანი), საქალაქო გვირგვინით დაგვირგვინებული შევარდენია. ფარი და „ფარისმტვირთველები“ ოქროს მცენარეულ ორნამენტზე დგანან.





**შინაარსობრივი განმარტება:** ქართული ჰერალდიკისთვის ლომი ტრადიციული სიმბოლოა. იგი სიძლიერეს და სიძარბაისლეს გამოხატავს. ლომის დალებული ხახიდან გადმოყოფილი ენა ჰერალდიკაში აღიქმება, როგორც ლოგოსი ანუ ღვთის სიტყვა. ოქრო სამეფო ლითონია, მენამული მაღალი რეგისტრის მინანქარია და სევადასთან (შავთან) ერთად (მეოცე საუკუნის ქართული დროშის ფერებისაგან დამოუკიდებლად) ქართულ ეროვნულ ფერს წარმოადგენს.



1. თბილისის მცირე გერბი, ტრაფარეტული ვარიანტი (სამეფო გვირგვინით დაგვირგვინებული): აქვს გამოყენების ფართო არეალი.
2. თბილისის მცირე გერბის ტრაფარეტული ვარიანტი: ოქროს იმიტაცია.
3. თბილისის მცირე გერბის სრული ფერადი ვარიანტი: გამოიყენება საქართველოს სხვა ქალაქებთან დადებული ხელშეკრულებების სავენზელედ.
4. თბილისის მცირე გერბის სრული, ყოველდღიური ვარიანტი: საგერბო ფარი სამეფო გვირგვინის ნაცვლად, ქალაქის რვაქიმიანი (ნახატზე ხუთი ქიმი მოჩანს)
5. გვირგვინითა დაგვირგვინებული. გამოიყენება ყოველდღიური საქმიანი ქალაქების სავენზელედ.
6. თბილისის მცირე გერბის ტრაფარეტული ვარიანტი (საქალაქო გვირგვინით დაგვირგვინებული): აქვს გამოყენების ფართო არეალი.

თბილისის მცირე გერბის სრული კონტურული ვერსია: გამოიყენება საქართველოს სხვა ქალაქებთან მიმონერისას, დოკუმენტების სავენზელედ.





## თბილისის შტანდარტი

კვადრატული ფორმით (1x1) გამოსახულ თბილისის გერბს სამი მხრიდან ოქროსფერი ფოჩის ზორტი არტყია. შტანდარტის ტარს ოქროსფერი „თბილისური ჯვრის“ (თორმეტბოლოიანი) ფორმის ბუნი ადგას. ტარზე მიმაგრებულია კარკასი-ჩარჩო, რომელზეც შტანდარტია ჩამოცმული. ჩამოცმის ადგილები მენამული ზორტით იფარება.


მთავარი შტანდარტი საპატიოდ უნდა ინახებოდეს მერიიაში, ცალკე გამოყოფილ სათავსო ოთახში, ვერტიკალურ მდგომარეობაში. დასაშვებია კარკასი-ჩარჩოს გარეშე შენახვა.

შტანდარტის დასაცავად და მისი ფუნქციის განსასაზღვრად უნდა მოქმედებდეს სპეციალური „კანონი შტანდარტის შესახებ“.


მთავარი შტანდარტი ძვირფასი მასალისაგან მზადდება. მთავარი შტანდარტის ასლი კი შედარებით ნაკლებად ღირებული მასალისაგან მზადდება და მერიის შენობაზე აღიმართება. შტანდარტის ასლები ქალაქში იფინება დღესასწაულების დროს.

ქალაქის მერიის საგანგაშო გახიზნვის შემთხვევაში (საომარი მდგომარეობა, სტიქიური მოვლენები), აუცილებელია მთავარი შტანდარტის ევაკუაცია.


1. თბილისის მთავარი **შტანდარტი** (მზადდება ძვირფასი მასალისგან, მხოლოდ ერთი ცალი და ინახება მერიის შენობაში). **Principal standard of Tbilisi.**
2. თბილისის **შტანდარტი** (მზადდება წყალგამძლე ქსოვილისგან. გამოიყენება მერიის შენობაზე აღსამართავად). **Standard of Tbilisi (for display on the top of the City Hall).**
3. საზეიმო **გონფალონი** თბილისის გერბის გამოსახულებით (გამოიყენება საზეიმო ვითარებისას მერიის ინტერიერისა და ექსტერიერის დასამშვენებლად). **Ceremonial Gonfalon of Tbilisi (for indoor and outdoor usage at the City Hall).**
4. **გონფალონი** თბილისის გერბის გამოსახულებით (მზადდება წყალგამძლე მასალისაგან. გამოიყენება საზეიმო ვითარებისას ქალაქის ქუჩების დასამშვენებლად). **Gonfalon of Tbilisi (to be hung on the streets of Tbilisi during celebrations).**




1



2



3



4

K 26. 285  
4

ԵՆԾՅ ԵՄՅՈՒՆ  
ՅՅՅՅ ԵՄՅՈՒՆ  
ՅՅՅՅ ԵՄՅՈՒՆ  
ՅՅՅՅ ԵՄՅՈՒՆ

## ქალაქის დიდი ბეჭედი

ბეჭდის ცენტრში ქართული სამეფო გვირგვინით დაგვირგვინებული, თბილისის გერბის მცირე ვერსიაა („ფარის მცველების“ გარეშე). გერბის უკან, მარჯვნივ და მარცხნივ ქალაქის თითო გოდოლი და კედლის ნაწილი მოჩანს. გერბიან წრეს გარშემო ქართულ და ლათინურ ენებზე შესრულებული წარწერები არტყია. ზედა მათგანზე ასომთავრულით წერია - „ქალაქი თბილისი“ ქვედაზე - იგივე ძველ ლათინურ ენაზე „URBS THEPHELIS“ (თბილისის ახალი ლათინური ფორმაა Thbilissi). ეს ბეჭედი მხოლოდ განსაკუთრებული, ორი მხრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტებისათვის იხმარება - ისეთებისა როგორცაა: ქალაქის სახელმწიფოსთან ურთიერთობის შეთანხმებები, ის დოკუმენტები, რომლებიც მის უფლებრივ სტატუსს განსაზღვრავენ, უცხოეთის ქალაქებთან თუ სახელმწიფოებთან ურთიერთობის შეთანხმებები. ყველა დანარჩენ შემთხვევაში იხმარება ქალაქის მცირე ბეჭედი.

## ქალაქის მცირე ბეჭედი

გამოიყენება ზემოაღნიშნულის გარდა ყველა დანარჩენ შემთხვევაში.


ზომით დიდი ბეჭდის 3/4ია. სამეფო გვირგვინის მაგივრად, თბილისის საგერბო ფარი ხუთქიმიანი საქალაქო გვირგვინითაა დაგვირგვინებული.

1. ქალაქის დიდი გერბი (კონტურული ვარიანტი): Great arms of Tbilisi (line drawing).
2. ქალაქის დიდი ბეჭედი: Great seal of Tbilisi.
3. ქალაქის მცირე ბეჭედი: Lesser seal of Tbilisi.





თბილისის მერის ყელსაკიდი




მერის ყანში (სამხაროლოე) და ქალაქის გასაღები



გიორგი XII-ის გვირგვინი  
„იბერიის გვირგვინი“



საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის  
ძველი გვირგვინი



გიორგი XII-ის გვირგვინი  
„იბერიის გვირგვინი“  
(პერალდიკური გამოსახვა)



საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის  
ძველი გვირგვინი  
(პერალდიკური გამოსახვა)

## მთანმინდა-კრნანისი

**მთანმინდა-კრნანისი:** ევროპული ფარი ერთხელ გაკვეთილია და გადაკვეთილი.

პირველ ველზე თბილისის გერბია, მეორე ველზე - მთანმინდის გერბი, მესამე ველზე - კრნანისის გერბი, მეოთხე ველზე კი თბილისის გერბი. ფარის ქვევით, მოტივტივე სადებიზო ბაფთაზე, ასომთავრული წარწერაა „მთანმინდა კრნანისი“. ფარი ოქროს სამქიმიანი საქალაქო გვირგვინითაა დაგვირგვინებული.

**მთანმინდა:** ლაჟვარდოვან ველზე ოქროს არშიაშემოვლებული, სამ ბორცვად გამოსახული მთაა, რომელზეც ოქროს ცხრაბოლოიანი ჯვარია აღმართული.

ჯვრის გარშემო ოქროს ოთხი წარჩინებულის (სათავადაზნაურო) გვირგვინი ტივტივებს. მთის გულზე ოქროს მონასტერია, მონასტრის თაღში კი ოქროს სწორმკლავა მოტივტივე ჯვარია.

**მინაარსობრივი განმარტება:** ჯვრიანი მთა ჰერალდიკურად წმინდა ადგილს ასახავს, რაც მთანმინდის შინაარსს ზედმიწევნით შეესაბამება. ოთხი გვირგვინი მთანმინდის რაიონში განლაგებული სამი უმაღლესი სახელმწიფო სტრუქტურის, პარლამენტის, პრეზიდენტის ინსტიტუტის, უმაღლესი სასამართლოსა და ქალაქის მერიის აღმნიშვნელია.

**კრნანისი:** ფარი ჯვრითაა ოთხად გაკვეთილ-გადაკვეთილი.

ველებთან მოსაზღვრე ჯვრის მხარეები, მონაცვლეობით - პირველ ველთან სევადაა, მეორე ველთან - მენამული, მესამე ველთან - სევადა, და მეოთხე ველთან ისევ მენამული. პირველ მენამულ ველზე ექვსფრთიანი ანგელოზია (სერაფიმი), მეორე ოქროს ველზე მენამულ ნიშნიანი და ფრთოსანი მენამული ლომია (ლეოპარდისებრი ლომი), რომელიც მარჯვენა თათით გადაშლილ ვერცხლის წიგნს ეყრდნობა. გადაშლილ გვერდზე ასომთავრულით წერია: „მარკოზის სახარება“. მესამე ოქროს ველზე მენამულნიშნიანი და ფრთოსანი ხარია. მეოთხე მენამულ ველზე — ნახევრად ფრთავაშლილი, ოქროსნიშნიანი არწივი.

**მინაარსობრივი განმარტება:** კრნანისის ისტორიული მონაკვეთი თბილისის უძველესი ორიგინალური ნაწილია. აქ მდებარეობს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მთავარი რეზიდენცია და საპატრიარქო. აქვეა სიონის საკათედრო ტაძარი. ჩვენს ჰერალდიკურ ინტერესს სწორედ საქართველოს ქრისტიანული ცენტრის აქ მდებარეობის დაფიქსირება წარმოადგენს.

ბუნებრივია, სახარება, ანუ ოთხთავი, ერთ-ერთი ძირითადი სვეტია ქრისტიანული სარწმუნოებისა და მისი ჰერალდიკური გამოხატვა ამ შემთხვევაში უდავოდ გამართლებულია.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ გერბში მახარებლების სიმბოლოებია გამოყენებული. ჰერალდიკაში, ისევე როგორც იკონოგრაფიაში, ანგელოზი აღნიშნავს მათეს, ლომი - მარკოზს, ხარი - ლუკას; არწივი კი იოანე მახარებელს

1. ფერადი ვარიანტი: აქვს გამოყენების ფართო არეალი. Colour version. Wide range of uses.
2. ფერადი ტრაფარეტული ვარიანტი: გამოიყენება პოლიციის მანქანებზე და, საერთოდ, ექსტერიერებზე გერბის გამოსახადად. Colour-stencil version.
3. კონტურული ვარიანტი: გამოიყენება ბლანკებზე და შავ-თეთრ სავენზელ ბლანკებზე გერბის განსათავსებლად. Line drawing.
4. რაიონის **შტანდარტი:** Standard of the region.
5. მთანმინდის გერბი. Arms of Mtatsminda District.
6. კრნანისის გერბი. Arms of Krtsanisi District.
7. რაიონის ბეჭედი. Seal of the region.







1




2




3



4



5



6



7

## დიდუბე-ჩულურეთი

**დიდუბე-ჩულურეთი:** ევროპული ფარი ერთხელ გაკვეთილია და გადაკვეთილი.

პირველ ველზე თბილისის გერბია. მეორე ველზე - დიდუბის გერბი, მესამე ველზე ისევ თბილისის გერბია, მეოთხე ველზე კი ჩულურეთის გერბი. ფარის ქვევით, მოტივტივე სადევინო ბაფთაზე, ასომთავრული წარწერაა: „დიდუბე ჩულურეთი“. ფარი დაგვირგვინებულია ოქროს სამქიმიანი საქალაქო გვირგვინით.






**დიდუბე:** ლაჟვარდოვან ველზე ოქროს სამგოდოლიანი ციხეა. ციხის მენამული ჭიშკარი ღიაა. ჭიშკრის თითოეულ კარს ორ-ორი ოქროს სამაგრი აქვს. ცენტრალური გოდოლის თავზე მოტივტივე ოქროს სათავადაზნაურო გვირგვინია.

**შინაარსობრივი განმარტება:** დიდუბე თბილისის ისტორიული უბანია (მასში შედის დავით აღმაშენებლის პროსპექტის ნაწილი). როგორც ცნობილია, დიდუბეში სამეფო ციხე-დარბაზი იდგა და გერბზე სწორედ ის არის ჰერალდიკურად დაფიქსირებული. ციხის თავზე მოტივტივე გვირგვინი კი ისტორიულ ძალაუფლებას აღნიშნავს.

**ჩულურეთი:** მენამულ ველზე ოქროს სამი შვეულად განლაგებული სათავადაზნაურო გვირგვინია.

**შინაარსობრივი განმარტება:** ჩულურეთი თბილისის ძველი ისტორიული უბანია. აქ ტრადიციულად, თაობების მანძილზე სახლდებოდა არისტოკრატია (დავით აღმაშენებლის პროსპექტის მიმდებარე მიდამოებში). სამი გვირგვინი ისტორიულ წარსულს, აწმყოსა და მომავალს ასახავს.

1. ფერადი ვარიანტი: აქვს გამოყენების ფართო არეალი. **Colour version. Wide range of used.**
2. ფერადი ტრაფარეტული ვარიანტი: გამოიყენება პოლიციის მანქანებზე და, საერთოდ, ექსტერიერზე გერბის გამოსასახად. **Colour-stencil version.**
3. კონტურული ვარიანტი: გამოიყენება ბლანკებზე და შავ-თეთრ სავენზელე ბლანკებზე გერბის განსათავსებლად. **Line drawing.**
4. რაიონის **შტანდარტი**. **Standard of the region.**
5. დიდუბის გერბი. **Arms of Didube District.**
6. ჩულურეთის გერბი. **Arms of Chugureti District.**
7. რაიონის ბეჭედი. **Seal of the region.**



## ისანი-სამგორი

**ისანი-სამგორი:** ევროპული ფარი ერთხელ გაკვეთილია და გადაკვეთილი.

პირველ ველზე თბილისის გერბია. მეორე ველზე - ისნის გერბი, მესამე ველზე - ისევ თბილისის გერბი, მეოთხე ველზე კი სამგორის გერბი.

ფარის ქვევით, მოტივტივე სადევიზო ბაფთაზე, ასომთავრული წარწერაა: „ისანი სამგორი“. ფარი ოქროს სამქიმიანი საქალაქო გვირგვინითაა დაგვირგვინებული.

**ისანი:** მენამულ ველზე - საბრძოლო, შეტრიალებული ოქროს მარჯვენა ხელთათმანი. მის მარჯვნივ და მარცხივ - სამ-სამი ოქროს გოდოლი. მარჯვენის ზევით კი ჰერალდიკური, მოტივტივე „ძველი სამეფო გვირგვინია“.


**შინაარსობრივი განმარტება:** ისანი თბილისის უძველესი ორიგინალური ნაწილია. აქ მდებარეობდა გაერთიანებული საქართველოს, ხოლო შემდეგ ქართლის და ქართლ-კახეთის მეფეთა მთავარი რეზიდენცია - მეტეხის ციხე-დარბაზი და სახელმწიფო აპარატის უმაღლესი ინსტიტუტები.

ოქროს ხელთათმნიანი მარჯვენა - ვახტანგ გორგასლის მიერ ქართლის დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანის ბრძანების მაჟნყებელია, ჰერალდიკური ძველი სამეფო გვირგვინი კი ამ შორეულ ეპოქაზე მიგვანიშნებს. ექვსი გოდოლი იმ ექვს პოლიტიკურ წარმონაქმნს ასახავს, რომელთა მთავარი ქალაქიც თბილისი იყო. ქრონოლოგიური წყობით: ქართლ-იბერიას, თბილისის საამიროს, გაერთიანებულ საქართველოს, ქართლს, ქართლ-კახეთს და საქართველოს რესპუბლიკას (1918- დან დღევანდელ დღემდე).


**სამგორი:** ლაჟვარდოვან ფარზე - ოქროს არშიამე მოვლებული სამი მწვანე მთა. მთების უკან ოქროს ნივნივი (შევრონი), რომლის ზევითაც - მარჯვნივ და მარცხნივ, აგრეთვე ნახნავის ქვეშ — ოქროს სამი საქალაქო გვირგვინია.

**შინაარსობრივი განმარტება:** სამი მთა, ანუ გორა, რაიონის სახელის ჰერალდიკურ გადათამაშებას წარმოადგენს. ნივნივი ჰერალდიკაში, და აქედან გამომდინარე, სამხედრო უნიფორმებზეც, დაცვის სიმბოლოა (ნამდვილ ნივნივს შენობის სახურავი ეყრდნობა) და როგორც მონაპირე რაიონი და ქალაქის აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დამცველი, ისანი მას ნამდვილად იმსახურებს. სამი გვირგვინი ქალაქის სიმბოლოა. „სამგორი ქალაქს იცავს“ - ასე წაითხება გერბი.

1. ფერადი ვარიანტი: აქვს გამოყენების ფართო არეალი. **Colour version. Wide range of uses.**
2. ფერადი ტრაფარეტული ვარიანტი: გამოიყენება პოლიციის მანქანებზე და საერთოდ, ექსტერიერებზე გერბის გამოსასახად. **Colour-stencil version.**
3. კონტურული ვარიანტი: გამოიყენება ბლანკებზე და შავ-თეთრ სავენზელე ბლანკებზე გერბის განსათავსებლად. **Line drawing.**
4. რაიონის **შტანდარტი**. **Standard of the region.**
5. ისნის გერბი. **Arms of Isani District.**
6. სამგორის გერბი. **Arms of Samgori District.**
7. რაიონის ბეჭედი. **Seal of the region.**



1



2



3




4



5



6



7

## ვაკე-საბურთალო

**ვაკე-საბურთალო:** ევროპული ფარი ერთხელ გაკვეთილია და გადაკვეთილი. პირველ ველზე თბილისის გერბია. მეორე ველზე - ვაკის გერბი, მესამე ველზე ისევ თბილისის გერბი, მეოთხე ველზე კი საბურთალოს გერბია.

ფარის ქვევით, მოტივტივე სადევნო ბაფთაზე, ასომთავრული წარწერაა: „ვაკე საბურთალო“. ფარი დაგვირგვინებულია ოქროს, სამქიმიანი საქალაქო გვირგვინით.

**ვაკე:** ფარი ჯვრით ოთხადაა გაკვეთილ-გადაკვეთილი.

ველებთან მოსაზღვრე ჯვრის მხარეები, მონაცვლეობით - პირველ ველთან ოქროსია, მეორე და მესამე ველთან - სევადა, მეოთხე ველთან კი ისევ ოქროსი. პირველ მენამულ ველზე ოქროს ოთხქიმიანი საქალაქო გვირგვინია. მეორე ოქროს ველზე - მენამული ნივნივი, მესამე მენამულ ველზე - ოქროს ოთხქიმიანი საქალაქო გვირგვინი. მეოთხე ოქროს ველზე - ისევ მენამული ნივნივი. დიდ ჯვარზე ზევიდან მენამული თორმეტბოლოიანი თბილისური ჯვარია.


**მინაარსობრივი განმარტება:** ვაკე ქალაქის შედარებით ახალი უბანია, მაგრამ მას დიდი წვლილი შეაქვს ქალაქის ინტელექტუალურ ცხოვრებაში. აქ არის განლაგებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამავე დროს ვაკე მონაპირე რაიონია და მას ქალაქის დაცვაც ევალება. სწორედ ამის გამოხატველია ნივნივი. გვირგვინი კი ასახავს ქალაქს. გვირგვინისა და ნივნივის ორ-ორჯერ გამეორება ხაზს უსვამს ვაკის მიერ ქალაქის ინტელექტუალური ცხოვრების და მისი ფიზიკური დაცვის მნიშვნელობას.

**საბურთალო:** ფარი მენამულითა და სევადით ერთხელ არის გაკვეთილი.

სევადზე განლაგებული ვერცხლის ღრუბლიდან გამოშავალ რკინის აბჯარასხმულ, ნატურალური ფერის მარჯვენას ოქროსვადანი, ვერცხლის ორღესული მახვილი აქვს აღმართული.

**მინაარსობრივი განმარტება:** საბურთალო ქალაქის ახალი ნაწილია, მაგრამ თავისი მატერიალურ-ინტელექტუალური ზვედრითი წილით მის ერთ-ერთ ყველაზე მონიწივე რაიონს წარმოადგენს. თუმცაღა, ჰერალდიკა ტრადიციულად მთავარ ყურადღებას ადგილის სამხედრო ფუნქციაზე და ისტორიაზე ამახვილებს. აქედან გამომდინარე, საბურთალო პირველ რიგში თბილისის მონაპირე რაიონს წარმოადგენს და მას სამხრეთ-დასავლეთიდან ქალაქის დაცვის საპატიო ფუნქცია აკისრია. ეროვნული ფერები მოსახლეობის პატრიოტიზმზე მიგვითითებს, ხოლო ღრუბლიდან გამოსული მახვილიანი ხელი ჰერალდიკაში ღვთისაგან დალოცვილ, სამართლიან ბრძოლას და კეთილშობილებას აღნიშნავს.


1. ფერადი ვარიანტი: აქვს გამოყენების ფართო არეალი. **Colour version. Wide range of uses.**
2. ფერადი ტრაფარეტული ვარიანტი: გამოიყენება პოლიციის მანქანებზე და საერთოდ, ექსტერიერებზე გერბის გამოსახვად. **Colour-stencil version.**
3. კონტურული ვარიანტი: გამოიყენება ბლანკებზე და შავ-თეთრ სავენზელ ბლანკებზე გერბის განსათავსებლად. **Line drawing.**
4. რაიონის **შტანდარტი**. **Standard of the region.**
5. ვაკის გერბი. **Arms of Vake District.**
6. საბურთალოს გერბი. **Arms of Saburtalo District.**
7. რაიონის ბეჭედი. **Seal of the region.**



1



2



3




4



5



6



7

## გლდანი-ნაძალადევი

**გლდანი-ნაძალადევი:** ევროპული ფარი ერთხელ გაკვეთილია და გადაკვეთილი.

პირველ ველზე თბილისის გერბია. მეორე ველზე - გლდანის გერბი, მესამე ველზე - თბილისის გერბი, და მეოთხე ველზე - ნაძალადევის გერბი. ფარის ქვევით, მოტივტივე სადევინო ბაფთაზე, ასომთავრული წარწერაა: „გლდანი ნაძალადევი“. ფარი დაგვირგვინებულია ოქროს სამქიმიანი საქალაქო გვირგვინით.

**გლდანი:** ლაჟვარდოვან ფარზე - ორი ოქროსვადიანი, ვერცხლისპირიანი, ანდრიას ჯვრისამებრ (ირიბად) გადაჯვარედინებული ორლესული მახვილი, რომელთა პირებს შორის ოქროს ოთხქიმიანი საქალაქო გვირგვინია.

**შინაარსობრივი განმარტება:** გლდანი თბილისის ახალი და მონაპირე რაიონია. მისი ჰერალდიკური არსი ჩრდილოეთიდან თბილისის დაცვაა. გვირგვინი ქალაქს აღნიშნავს, ხოლო ორი აღმართული მახვილი - მისი დაცვისათვის მზადყოფნას.

**ნაძალადევი:** მენამულითა და სევადით ერთხელ გაკვეთილ ფარზე მოზიდული ოქროს მშვილდ-ისარია.

**შინაარსობრივი განმარტება:** ნაძალადევი თბილისის ისტორიული უბანია. ტრადიციულად, აქ სახლდებოდა მუშა-ხელოსანთა კლასი. ეროვნული ფერები - მოსახლეობის აქტიურ პატრიოტიზმზე, ხოლო მოზიდული მშვილდ-ისარი კი თბილისის დაცვისათვის მზადყოფნაზე მიგვითითებს.

1. ფერადი ვარიანტი: აქვს გამოყენების ფართო არეალი. **Colour version. Wide range of uses.**
2. ფერადი ტრაფარეტული ვარიანტი: გამოიყენება პოლიციის მანქანებზე და, საერთოდ, ექსტერიერებზე გერბის გამოსახადად. **Colour-stencil version.**
3. კონტურული ვარიანტი: გამოიყენება ბლანკებზე და შავ-თეთრ სავენზელე ბლანკებზე გერბის განსათავსებლად. **Line drawing.**
4. რაიონის **შტანდარტი. Standard of the region.**
5. გლდანის გერბი. **Arms of Gldani District.**
6. ნაძალადევის გერბი. **Arms of Nadzaladevi District.**
7. რაიონის ბეჭედი. **Seal of the region.**






1



2



3




4



5



6



7

## ENGLISH ABSTRACT

This work proposes implementation of a heraldic system for the city of Tbilisi. From 1917 until today, the tradition of heraldry has been weak, because the Communist government and its successors lacked an appreciation for heraldry. The purpose of this work is to revive Tbilisi's historical coat of arms with some modifications and to create the standard and seals of the city, the colour of the mayor, and the key of the city. The proposed system includes arms, standards, and seals for each region of the city. Inscriptions on the coats of arms are to be written in a new variation of the now obsolete capital letters, originally used in Georgian heraldry. For the seal of the city, the author uses the old Latin spelling of Tbilisi, *Thephelis*, parallel to the Georgian inscription. The author also proposes protocol for the use of each element of the system.

### Page 3

Illustration 1: The Arms of the Georgia-Imereti Province, 1843.

Illustration 2: The Arms of Tbilisi, 1843.

Illustration 3: The Arms of Tbilisi, 1878-1917.

### Page 8

Illustration 1: Proposed Arms of Tbilisi (by author); based on historical arms of 1878-1917 (see page 3, illustration 3) with a more traditional cross introduced; bearing the Georgian royal crown (of George XII) and with new supporters, the red leopard and white falcon (falcon from the legend of the founding of Tbilisi); full colour version.

Illustration 2: Stencil version of the same.

### Page 10

Illustration 1: The Lesser Arms of Tbilisi, full stencil version.

Illustration 2: The Lesser Arms of Tbilisi, full stencil version, imitation of gold colour.

Illustration 3: The Lesser Arms of Tbilisi, full colour version.

Illustration 4: The Lesser Arms of Tbilisi, full version for everyday use, with a burghal civic coronet.

Illustration 5: The Lesser Arms of Tbilisi, full stencil version, with a burghal civic coronet.

Four black and white illustrations: Line drawn version of the Lesser Arms of Tbilisi.

### Page 12

Illustration 1: The Principal Standard of Tbilisi, live colours of the city.

Illustration 2: The Standard of Tbilisi for use on the City Hall.

Illustration 3: Ceremonial Gonfalon of Tbilisi for indoor and outdoor use at the City Hall.

Illustration 4: Gonfalon of Tbilisi (to be hung on the streets of Tbilisi during celebrations).

### Page 14

Illustration 1: Line drawn version of the Great Arms of Tbilisi.

Illustration 2: The Great Seal of Tbilisi (the inscription on the top of the seal uses now obsolete capital letters parallel to the old Latin spelling of Tbilisi, *Thephelis*), to seal international documents.

Illustration 3: The Lesser Seal of Tbilisi, to seal domestic documents.

Page 15

Illustration 1: The Colour of the Mayor of the City.

Illustration 2: The Band of the Mayor, with the live colours of the city.

Illustration 3: The Key of the City.

Page 16

Illustration 1: The Georgian Royal Crown (of George XII, XVIII c.).

Illustration 2: The Crown of the Catholicos-Patriarch of Georgia (XVII c.).

Illustration 3: The Heraldic Royal Crown, proposed by author.

Illustration 4: The Heraldic Crown of the Catholicos-Patriarch, proposed by author.

For pages 18-26, each page includes:

1. Colour version.
2. Colour-stencil version.
3. Line drawing.
4. Standard of the region.
5. Arms of the first mentioned district.
6. Arms of the second mentioned district.
7. Seal of the region

Page 18

**The Arms of Mtatsminda-Krtsanisi;** in the first and fourth quarters — the Tbilisi Arms; in the second quarter — the Arms of Mtatsminda District (*Mtatsminda* means 'Holy Mountain,' which is represented by the green mountain with the Tbilisi Cross on top. The building on the mountain represents the VI century monastery, which gave the mountain its name. The four crowns represent the three highest organs of the state, which are located in this region: the Parliament, the Presidency, and the Supreme Court, and the fourth crown represents the City Hall.); in the third quarter — arms of Krtsanisi quartered by the Tbilisi Cross with symbols of the evangelists (Matthew, Mark, Luke, and John) in each quarter, because the Georgian Catholicos-Patriarch's office is located in this district; the ribbon with inscription "*Mtatsminda Krtsanisi*" is in capital letters.

Page 20

**The Arms of Didube-Chugureti;** in the first and fourth quarters — the Tbilisi Arms; in the second quarter — the Arms of Didube (The castle with the crown represents the medieval royal palace of Didube.); in the third quarter — the Arms of Chugureti (the three noble crowns represents the past, present, and future because of the historical popularity of this region among the nobility.); the ribbon with inscription "*Didube Chugureti*" is in capital letters.

Page 22

**The Arms of Isani-Samgori;** in the first and fourth quarters — the Tbilisi Arms; in the second quarter — the Arms of Isani (The glove represents the arm of King Vaktang I Gorgasali, who ordered the capital of Iberia-Kartli be moved from Mtskheta to Tbilisi in the 5<sup>th</sup> c. The ancient crown represents that ancient time. The six towers represent the six political entities, of which Tbilisi was capital since that time, chrono-

logically: Iberia-Kartli, Tbilisi Emirate under Arab occupation, the United Georgian Kingdom, Kingdom of Kartli, Kingdom of Kartli-Kakheti, and the Republic of Georgia); in the third quarter — the Arms of Samgori (*Samgori* means three mountains, which is represented by three green mountains. The chevron and crowns the citizens' preparedness to defend the city.); the ribbon with inscription "*Isani Samgori*" is in capital letters.

Page 24

**The Arms of Vake-Saburtalo**; in the first and fourth quarters — the Tbilisi Arms; in the second quarter — the Arms of Vake quartered by the Tbilisi Cross (The chevron and crowns represents the citizens' preparedness to defend the city.); in the third quarter — the Arms of Saburtalo (The arm emerging from a cloud and bearing a sword represents divine help in defence of the city and is portrayed on a field of the red for the national flag and black of the medieval military flag.); the ribbon with inscription "*Vake Saburtalo*" is in capital letters.

Page 26

**The Arms of Gldani-Nazdzaladevi**; in the first and fourth quarters — the Tbilisi Arms; in the second quarter — the Arms of Gldani (The two swords and crowns represents the citizens' preparedness to defend the city.); in the third quarter — the Arms of Nazdzaladevi (The readied crossbow represents the citizens' preparedness to defend the city and is portrayed on a field of the red for the national flag and black of the medieval military flag.); the ribbon with inscription "*Gldani Nazdzaladevi*" is in capital letters.

## პიობრაფია

ზაქარია (ზაზა) კიკნაძე დაიბადა ქალაქ თბილისში, 1966 წელს. სწავლობდა თბილისის 23-ე სკოლაში, შემდეგ ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში. 1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის ფაკულტეტი, ნიგნის ილუსტრაციის განხრით. არის „ქართული ჰერალდიკის ასოციაციის“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და გამგეობის წევრი. ამ ორგანიზაციას წარმოადგენდა ჰერალდიკა-გენეალოგიის მსოფლიო კონგრესზე, საფრანგეთის ქ. ბეზანსონში.

ავტორი წლების მანძილზე საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიის წევრია (კომისია განიხილავს საქართველოს დროშის, გერბის და ჰიმნის შეცვლის საკითხებს).

1991 წელს გააფორმა, მამის - თამაზ კიკნაძის რედაქციით, გამომცემლობა „სამშობლო“-ში დასტამბული წიგნი „საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით“.

ზ. კიკნაძე, ჰერალდიკის, გვირგვინმცოდნეობისა და თავად-აზნაურობის შესახებ რამდენიმე სტატიის ავტორია. მას ეკუთვნის მრავალი წიგნის (მათ შორის სამეცნიერო და საბავშვო), გაფორმება. 1991 წლიდან მოყოლებული, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა დონეზე, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საქართველოსა და უცხოეთში კითხულობს ღია ლექციებს ქართული ხელოვნების, ჰერალდიკა-ვექსილოლოგიისა და თავად-აზნაურობის შესახებ.

## BIOGRAPHY

Zachary (Zaza) Kiknadze was born in Tbilisi in 1966. He studied at Tbilisi's 23rd School and then received a diploma with a major in painting from the Iakob Nikoladze State School of Art. In 1991, he graduated from the Tbilisi State Academy of Fine Art with a major in graphic book illustration. He is a founding member of the Association of Georgian Heraldry and represented the Association at the International Congress of Heraldry and Genealogy in Besançon, France in 2000.

For several years, he has been a member of the State Commission for State Symbols. (The Commission was created to define the national flag, arms, and anthem of Georgia.)

In 1991, Mr. Kiknadze designed a book edited by his father, Tamaz Kiknadze, entitled **The Flags and Arms of Georgia by Prince Vakhushti Bagrationi**. He has written several articles about heraldry, crowns, and nobility. He designed several non-fiction and children's books for publication. From 1991, he has taught art at a range of age levels, including at Tbilisi State University.

In Georgia and abroad, he has given lectures about Georgian art, heraldry, vexilology and nobility.

## ბიბლიოგრაფია

1. П.П.фон-Винклеръ, «Гербы городов, губерний, областей и посадов Российской Империи, внесенные в полное собрание законов с 1649 по 1900 годы» С.-Петербургъ 1899. Москва, «Планета» 1991.
2. A. Znamierowski "The World Encyclopedia of Flags" The edition published by Hermes House. Anness Publishing Limited 2001
3. S. Slater "The Complete book of Heraldry" Anness Publishing Limited 2003
4. სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართული“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი „მერანი“ 1991
5. International Civic Arms By Ralf Hartemink <http://surf.to/heraldry>
6. მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა. თბილისი „ხელოვნება“ 1980
7. Fracuis R. Velde's Heraldry Site <http://www.heraldica.org/>
8. Illustrated Atlas of Heraldic Terms <http://www.heraldica.org/topics/glossary/atlas.htm>
9. Michel Pastoureaux "Heraldry An Introduction to a Noble Tradition" Pub. "Gallimard" 1996. Thames and Hudson Ltd. 1997
10. Julian Franklin "Heraldry" A.S. Barnes & Co., Inc. 1968
11. J.P. Brooke-Little "An Heraldic Alphabet" Robson Books 1996
12. Thomas Woodcock, John Martin Robinson "The Oxford Guide to Heraldry" Oxford University Press 1990
13. A. G. Puttock "A Dictionary of Heraldry and related subjects" Genealogical Publishing Co., Inc. Baltimore 1970
14. Stephen Friar and John Ferguson "Basic Heraldry" Herbert Press Limited London 1993
15. Frederic Luz "Le Blason & ses secrets" Claire Vigne Editrice Paris 1995
16. Дворянские Роды Российской Империи, т.4. П.Х.Гребельский, С.В.Думин. Москва, «Вести» 1993.

თბილისის შერალდიკა  
ზაქარია კიკნაძე

რედაქტორი  
ანა ჭაბაშვილი

დაკაბადონება  
გიორგი ბაგრატიონი

© Zachary Kiknadze, 2002-2003  
საავტორო უფლება გამოცემაზე © 2004 გამომცემლობა „დიოგენე“

პირველი გამოცემა 2004  
ყველა უფლება დაცულია

ISBN 99940-16-46-6

გამომცემლობა „დიოგენე“  
თბილისი 0179, კეკელიძის ქ. 6  
ტელეფონი 95 63 94, ტელ./ფაქსი 96 79 71  
[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)



K 26. 28/51  
14 136320  
24 090900

